gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0620-0433638 D 25.08.2020

შპს „ტიბინი ჯგუფი“-ს წარმომადგენელს
ბატონ ზურაბ ახალაიას
მისამართი: გლდანი, აკ. ვასაძის ქ. #7
ელ-ფოსტა: tibini@mail.ru
ტელეფონი: 558 80 09 00

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის IN20-0429448, თარიღი 13/08/2020წ.) რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია ისანი, წულუკიძის ქ. #6-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ N01.17.10.012.153, ს/კ N01.17.10.008.155) წყალსადენ-წყალარინების ქსელებით უზრუნველყოფის და ნაკვეთების მიმდებარედ სახანძრო ჰიდრანტის მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ როგორც ადგილზე შემოწმებით დადგინდა, მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი N01.17.10.012.153) მიმდებარედ სახანძრო ჰიდრანტი მდებარეობს 195 მეტრში, უძოს ქუჩის დასაწყისში. ხოლო მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი N01.17.10.008.155) მიმდებარედ სახანძრო ჰიდრანტი მდებარეობს 220 მეტრის რადიუსში, უძოს ქუჩის დასაწყისში.

რაც შეეხება წყალსადენის ქსელებით უზრუნველყოფას, მიწის ნაკვეთისთვის (საკ. კოდი N01.17.10.012.155 „კომპანიის“ მიერ გაცემულია ტექნიკური პირობა, რომლის მიხედვითაც წყალმომარაგების D=150 მმ-იანი ქსელი დაერთებულია მანდერშტამის ქუჩაზე გამავალ D=300 მმ-იან ქსელზე. მიწის ნაკვეთისთვის (საკ. კოდი N01.17.10.012.153) ასევე გაცემულია „კომპანიის“ მიერ ტექნიკური პირობა, რომლის მიხედვითაც წყალმომარაგების D=150 მმ-იანი ქსელი დაერთებულია პეტრე ხვედელიძის ქუჩაზე გამავალ D=1000 მმ-იან ქსელზე.

ასევე გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთებისთვის (საკ. კოდი N01.17.10.012.153; N01.17.10.008.155) მოწყობილია წყალარინების D=200 მმ-იანი ქსელი, რომელიც დაერთებულია პეტრე ხვედელიძის ქუჩაზე გამავალ წყალარინების D=250 მმ-იან ქსელზე.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (2102); (1127)